№ 67

კვირა, 6 აპრილი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

**ხელისმოწერის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 67

[illegible]რა, 6 აპრილი 1897 წ.

რედაქცია: [illegible]ითოშის ქუჩა, 21. ტფილისი.

[illegible]ზეთის დასაბარებლად და [illegible]ანცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულება დედ:ნ დათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ-მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ· ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

ტფილისი, 5 აპრილი.

ჩვენ წინა მეთაურში *) ვთქვით, რომ საბუთად ტფილისში და ერთობ ჩვენში გაბატონებისა და თავიანთის «კულტურულ» საქციელისა სომხებს, სხვათა შორის, ისიც მოჰყავთ, რომ ჩვენ ქართველებზე მეტი მცოდნე და განათლებული კაცები გვყავსო, ჩვენ კულტურით უფრო დაწინაურებულნი ვართო, კულტურის მთესავი ამიერ-კავკასიაში სომეხი არისო, ჩვენ ქართველებზე მეტი ფული გვაქვს და რად უკვირთ, რომ ქართველები, რომელნიც ძილისა და „მრავალ ჟამიერის“ ძახილის მეტს არას აკეთებენ და არაფერში ვარგანან, პირში ჩალა გამოვლებულნი დარჩენილან და ცარიელზე სხედანო.

დასამტკიცებლად იმისა, რომ მეტი მცოდნე და განათლებული კაცები ჰყავთ, ვიდრე ქართველებს, თვლით გვეუბნებიან: აი ტფილისში ამდენი ინჟენერია სომეხი, ამდენი მკურნალი, ამდენი ადვოკატიო, და გამოდის, რომ ყველა ესენი სომხებს გაცილებით მეტი ჰყოლიათ, ვიდრე ქართველებსა. კარგი და პატიოსანი! ქება და დიდება სომხებსა, რომ თავისს შვილებს უსწავლელად არა სტოვებენ. ამისათვის, სწორედ უნდა ვთქვათ, სომეხი დედ-მამა არაფერსა ჰზოგავს შვილისათვის და წელებზე ფეხს იდგამს, შვილს ცოდნა რისამე მისცეს, სასწავლებელში ფეხი შეადგმევინოს.

ყველაფერში ხელ-მოჭერილი და ყაირათიანი სომეხი აქ თავისის შვილის სიკეთისათვის ხელ-გაშლილია და მეტი არ იქნება ვთქვათ, რომ თითქმის გულ-უხვიცა. თვითონ იქნება ხმელი პური იკმაროს და ერთი დღეც სიხარულისა და სიამოვნებისა არ გამოიაროს და შვილის სწავლისათვის-კი არაფერი ჰშურს: გროშს გროშზე აკოწიწებს, მარცვალს მარცვალზე სდებს, რომ შვილს სწავლისა და ცოდნის შეძენის გზა მისცეს.

სასახელოდ სომხისა ესეც უნდა ითქვას, რომ არც შვილები ჰყავთ უმადურნი. ესენიც თავისის მხრით დედ-მამას სამაგიეროს იმითი უხდიან, რომ რაც შეიძლება ბეჯითობენ, თავ-გამოდებით ბოლომდე გულ-გაუტეხლად და გულ-აუცრუებლად ებრძვიან სიძნელეს სწავლა-ცოდნისას, დაწყებული ბოლომდე გააქვთ. ესე ყოველი ჩვენ, ქართველებს, კი არა გვშურს, გვენატრება და სანატრელიც არის ღვთის წინაშე. ცალკე სომხის დედ-მამის ასეთი თავ დადება შვილთათვის და ცალკე სომხის შვილების ასეთი საქებური ბეჯითობა, ასეთი უკან-დაუხეველი და მედგარი სვლა სწავლა-ცოდნის გზაზე საოჯახო წურთვნისა და დისციპლინის საქმეა. ამაში სომხობას და ნამეტნავად ჩვენებურ სომხობას ჩვენ, ქართველები, ჩვენდა სამწუხაროდ, წინ ვერ წაუვალთ. აქ სომხობას უნდა ვაკუთვნოთ გვირგვინი პირველობისა და უპირატესობისა. რაც მართალია, მართალია. ღმერთმა ნურავის ნუ მოუშალოს ასეთი ოჯახობა, ასეთი საოჯახო ანდერძნი, ასეთი წურთვნა შვილისა შიგ სახლშივე, ოჯახშივე და ასეთი გულ-მოდგინე დედ-მამა,—ეს პირველ-დამწყები და უებრო მწურთვნელი, რომლის მაგიერობას ძნელად თუ გაუწევს ვინმე შემდეგში, რაც გინდ კარგ სასწავლებელში იყოს მიბარებული.

ქართველებს ეს უნარი არა გვაქვს. ჩვენი ოჯახი ამ დარგზე არ არის დაყენებული, ჩვენდა საუბედუროდ. ქართველი დედ-მამა ჯერ ყველაზე უწინარეს ბედოვლათია. რა მიზეზია ასეთის ხასიათის გაჩენისა ქართველებში, ამის გამორკვევა შორს წაგვიყვანს. არ იქნება საკვირველი და გადაჭარბებული ვთქვათ, რომ იქნება აქ ჩვენი ისტორიაც იყოს მიზეზი. ისტორიულმა ბედმა ასეთს მდგომარეობაში დააყენა ქართველი, რომ დღეს არ იცოდა ხვალე მისი იქნება, თუ არა. იგერიებდა რა ყოველ დღე მტერს, ყოველ წუთს მოელოდდა, რომ აი ან ეხლა ამიკლებს მტერი, ან ეხლაო, სარჩო-ქონებას გადამიბუგავს, წამგლეჯს, წაიღებს და ეხლა რომ ცოცხალი ვარ, არ ვიცი წუთის შემდეგაც ვიქნები-და ცოცხალი, თუ არაო. საკვირველიც არ არის, რომ დღითი დღიდამ, წლითი წლობით და საუკუნედამ საუკუნომდე ამისთანა ყოფამ ხვალის უიმედობისამ ვერ შეუჩვია ფიქრი დღევანდელი დღე იგულვოს ხვალისათვის, დღევანდელი დაჰზოგოს მერმე გამოყენებისათვის, რადგანაც იგი „მერმე“ არ იცოდა მის ხელთ იქმნება, თუ არა. ამიტომაც რაც დღეს ჰქონდა, დღესვე თავისს თავს ახმარებდა, სჯობია ჩემი მევე ვირგო, ვიდრე ჩემს მტერს დარჩესო. ერს, რომელიც იმისთანა ყოფაშია, რომ ყოველ დღე და ყოველს წუთს მოელის განსაცდელი ან გაძარცულ იქმნას მტრისაგან, ან სულ-ამოხდილი და სადმე მოკლული და რომელსაც ეს ლოდინი განსაცდელისა მთელი საუკუნოები გამოუკლებლივ გულს უცრუებდა ყველაფერზე, საკვირველი არ არის, რომ დასჩემდა ხასიათი დღევანდელის დაუზოგველობისა, დღევანდელის დაკლებით და ხელმოჭერით ცხოვრებისა. ვისთვის და რისთვისო? ჩემით გავამდიდრო ჩემი მტერიო? მე დღეს დავიკლო, დავზოგო იმისათვის, რომ ხვალ გამარჯვებულმა მტერმა დაავლოს ხელი

*) იხ. „ივერია“ № 61.

## ფელეტონი

* * *

განსჭე კლდე უზარ-მაზარი,
ზედ გადაჰრილი ზღვაზედა,
წარბებ შეკრულსა, გამწყრალსა
ხავსი ემოსა ტანზედა,
ზედ წყარო მოსჩხრიალებდა,
თითქო ცრემლები თვალზედა,
დასჩერებოდა ზვირთებსა
სასაუკუდუროთ თავზედა...

—

ვკითხე: ,,კლდევ! წელში მოხრილხარ?
რამ გამოგიდრღნა გულია?
განა შენც, სალო, გვრევა
ზღვის გრგვინვა, ღრენა მტრულია?
თუ მეხს და სეტყვას ვერ უმლებ
მკვლავდვე დაღალულია?
ან ელვამ თვალნი დაგიმსო,
ჭვდის ცრემლთა ნაკადულია?“

—

მითხრა: ,,კლდეს, სალსა, მაგარსა
ვერას მიზამდა ქუხილი,
ვერც შქა, ელვა, მეხთა სვრა,
ვერც ჯოჯოხეთის დუღილი,
ვერცა ლეშტერი, ვერც ნაღმი,
ვერც ყინვა—ზამთრის ცრუ ხილი,
ვერცა წარსულით დაქანცვა,
ვერც დღევანდელი წუხილი!

—

მაგრამ გამტეხა ალერსმა,
მშობლიურს კილოზედ ნანამა,
შორს—ჯოჯოხეთში—შეთხზულმა
თვალთ-მაქცმა გამოცანამა,
ტალღათ მხიბლავმა ამბორმა,
დამწველმა, ცეცხლისთანამა,
გულ-მკერდი ჩამომათალა
ნელ-ნელა მტრისა დანამა!..“

—

მოვშორდი კლდესა, დავტოვე
გადაზიდული ზღვაზედა;
დავღონდი, დავნაღვლიანდი,
ცრემლი მომასკდა თვალზედა,
დავწყევლე, დავგმე განონთსვლა
უმართლო, ავი აგზედა,—
და რაც ქვეყანას შევკადრე,
იგივ ვიფიქრე ცაზედა!..

გრ. აბაშიძე

### შრომის ზნეობრივი მნიშვნელობა.

(მონტეგაცადგან)

შრომა, გარდა იმისა, რომ ადამიანს სიცოცხლის საზრდოს უნახავს,—სხეულს ჯანს უმატებს და სულს—ზნეობრივს სიმშვიდეს.

რავიცა.

მველი ანდაზა ამბობს: სიზარმაცე ყველა ცოდვების სათავეაო; მაგრამ მეორე კიდე ანდაზა ამისთანავე სიმართლით გვეუბნება: შრომა ყოველის სიკეთის სათავეაო.

დაათვალიერეთ საპატიმროები და მადნების ადგილები, გადაჭხედეთ სამწუხარო აღრიცხვას ბოროტ-მოქმედებისას და ნახავთ, რომ თითქმის ყველა ბოროტ-მოქმედი, ანუ უფრო ეს ,,უბედურები“ ეკუთვნიან იმ ნაწილს ხალხისას, რომელსაც არასოდეს არავითარი საქმე და ხელობა არა ჰქონია. თუ მოხდება ხოლმე, რომ ზოგიერთები ჭეშმარიტს გზას დაადგნენ, ეს უეჭველად ისინი არიან, რომელთაც შრომა თან და თან შეიყვარეს და მიმოიფანტეს თავისი ცუდი მიდრეკილება მუშათა სახელოსნოში. გადაავლეთ თვალი აგრეთვე საშუალო და მაღალ წოდებას ჩვენის საზოგადოებისას და თუ რომელსამე ოჯახში ნახავთ ბავშვებს სულიერ და გონებრივ თვისებებით განსხვავებულებს, მერწმუნეთ, რომ იმათში ვინც უფრო შრომის მოყვარეა, პატიოსანიც უფრო ის არის, ის უფრო იგრძნობს სიკეთეს, სიმშვენიერეს, ის უფრო მოახერხებს კეთილშობილურ საქციელის გამოჩენასა. განათლებულ წრეში ვინმემ, ვთქვათ, კაი სახელი გაიუპატიურა, ეს იქნება უეჭველად ადამიანი, ბავშვობიდგანვე სწავლისა და შრომის მოძულე, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე, გაუტარებია და აღზრდა მიუღია ლოთებში, ღვინის სარდაფებში და თავისი მაღ-ღონე ზომა-გადაჭარბებულ გრძნობების სიამოვნებისათვის შეუწირავს. და თუ ოდესმე ამისთანა ადამიანი, გადარჩენილი ზნეობრივად გახრწნას ოჯახში ჰბრუნდება, ეს იმის წყალობით, რომ შრომა თან და თან პატივის ცემით ეპყრობა. შრომა საუკეთესო დამცველია ბიწიერებისაგან; იგი მკურნალია ფიზიკურ ვნებათა განმკურნებელი, ყოველგვარ უსაქმურობაზედ აღმოცენებულ ჭუჭყის გამასუფთავებელი. მშრომელი ადამიანი ბორბალი-კი არაა რომელიც მიჰგორავს ვიდრე დაბრკოლება არ შეხვდება, არც ღერძია იქით თუ აქეთ მოტრიალე, არა, იგი არის ადამიანი, რომელიც აზროვნებას, მაღას გამორკვეულს საგანს ამსახურებს, თავისის სულისა და ტანის მოძრაობას ერთმანეთში ისე ათავსებს, რომ სანატრელ შედეგს მიაღწიოს.

უოველ გვარ შრომის დროს, უბრალო მეხანიკურ საქმიდგან დაწყებული უზენაესს აზრებამდე შემოქმედის შრომისა, შრომელი მიესწრაფვის უმაღლესს ასპარეზს, რომელიც პირუტყვულ მოთხოვნილებათა სფეროზედ მაღლა სდგას. პირუტყვი კბილებით ეჭიდება მსხვერპლსს და მით იკვებება, ადამიანიკი თავი შრომითა სცხოვრობს. გონებისა და გულების მოქმედებისათვის დახარჯული დრო-მეცადინეობა ადამიანს ბიწიერებისათვის აღარ აცლის. ვინც შრომობს, ის არ ლოთობს, არ ავაზაკობს, არ-იწყევლება, არა შურიანობს, ავი სიტყვით არ ლაპარაკობს, დროს ფუჭად არ ატარებს, ოჯახობის და სიცოცხლის საუკეთესო სიხარულს არა ჰქირდავს.

მუშა, რომელიც სახლიდგან გამოდის პირში ჩიბუხით და ჯიბეში ხელებ-ჩაწყობილი, უქმი აზრებით გატაცებული ადვილად მიემგზავრება სასმელად სხვა-და-სხვა გასაციხ ადგილებისაკენ, საროსკიპოსაკენ. იმ მუშასკი, რომელიც მთელის დღის ბეჯით მუშაობის შემდეგ, მხოლოდ საღამოზე სტოვებს თავის სახელოსნოს, აზრადაც არ მოუვა იმ ადგილებისკენ ყიალი; იგი იჩქარის თავისის მყირფას ოჯახის ნახვას, მოხუცებულ დედის, ბავშვების, ცოლის მისალმებას და პირდაპირ თავისის სახლისაკენ მიეშურება.

ვინც ერთხელ გამოსცადა სასიამოვნო გრძნობა, რომელიც იტაცებს ადამიანს რამე საქმის დაბოლოების შემდეგ, ის ამ სიამოვნებისგან უარს ვეღარ იტყვის. შრომით ნახული სიხარული საუკეთესო სიამოვნებაა, იგი არასოდეს არა სუსტდება, დღითი-დღე გვაქეზებს მუშაობაში სულის დაღევას. მაგრამ მხიარულებას, ღვინით გამოწვეულს, ბოთლის დაცლისათანავე ბოლო ედება, მერე თუ გვსურს მისი განგრძობა, სიამოვნების მაგივრად თავსბრუ გვეხვევა, გული გვერევა. მხიარულება, შრომით ნახული, უზომოდ აბედნიერებს ჩვენს გულს და რიგიან მუშა-კაცისათვის ყოველი მომავალი დღე წარსულზედ უკეთესია. მშრომელი ადამიანი წინ-და წინ მიდის და უსაქმო, გარყვნილი-კი იმავე დროს ჰკვეითდება.

ვინც შრომობს, იმას რიგიანადაც ესმის თავისი მოვალეობა, იგი ცხოვრების სხვა-და-სხვა შემთხვევას განგების სასჯელად ანუ ჯილდოთ-კი არ მიიჩნევს არც ბედისწერად, არამედ თავისის ნამუშავარის კანონიერ შედეგად. დიდი თუ პატარა საქმიანობა, ჯანმრთელობის სხვა-და-სხვა მდგომარეობა, შეჯერება გულისა—ყველა ეს უტყუარი

და სულ გახვეტოსო.

ჩვენებური სომხებიც ხომ ამ დღეში იყვნენ და რატომ იმათზე-კი არ imoქმედა ამისთანა ისტორიულმა გარემოებამაო? იკითხვენ. რაც სომხის სახელმწიფო დაეცა, სომეხი ხმლით ალარავის დასდგომია წინ, სასიკვდილოდ თავი ალარ გამოუმეტნია, ასაკლებად ალარავინ მისევია. ისინი ზოგი სად შეიხიზნენ და ზოგი სად და ყველგან იმისთანა ხელობას მოჰკიდეს ხელი, რომელიც ოდესღაც სათაკილოდ მიაჩნდათ მეომართ ერთა და როგორც უკადრისს, დაბალს, მაშინდელის აზრით, ხელობას არავინ შეეცილნენ. ეხლაა ვაჭრობა, ალებ-მიცემობა დიდს პატივში, თორემ მაშინ რა იყო და ვინ შეეცილებოდა. სადა ცილობა არ არის, იქ არც შიშია, არც ლოდინი თავ-დასხმისა, მოსევისა და სისხლის ღვრისა. გარდა ამისა თვით იგი ხელობა, რომელსაც ვაჭრობას, ალებ-მიცემობას ეძახიან, იმისთანა ბუნებისაა, იმისთანა თვისებისა, რომ დაუზოგველად ერთს დღესაც ვერ იჭაჭანებს ქვეყანაზე. ხელობა, რომელიც იმაზეა მარტო დამყარებული, რომ დღეს იყიდე ხვალე გასასყიდად, ხვალეზეა დამოკიდებული და ამიტომ დღეისას ზოგვა უნდა, რომ ხვალე საგზალი ჰქონდეს. აქ ხვალის იმედი რომ არ იყოს, არც დღეისი იქნება, აქ ხვალე გვირგვინია დღეისა, ვითარცა დასასრული დასაწყისისა, ესე იგი ნაყიდის გაყიდვისა. სულ სხვაფრივ მოქმედობს იგი ხელობა, თუ ასე ითქმის, როცა კაცს დღე მუდამ თავს ესხმიან მოსაკლავად და იძულებულია უკანასკნელ განწირულებამდე მტერი იგერიოს და თავისის ძვლებით იშენოს ზღუდე, ციხე-სიმაგრე, თავისის ცხოვრებისა-კი არა, სიცოცხლისა. აქ ქონების ზოგვას, გაფრთხილებას, გროვას და ხვეჭას არც მიზეზი აქვს გაჩენისა, არც საფუძველი და სათავე, არც დრო და არც მოცალეობა.

ასეა თუ ისე, ამას, რა თქმა უნდა, ორიოდე სიტყვით ძირამდე ვერავინ ამოსწურავს და საქმე-კი იმაშია, რომ დღეს სომხები დაზოგვისათვის უფრო მტკიცე ხასიათისანი არიან, ვიდრე ქართველნი. სომხის ერთი დიდი ღირსება ის არის, რომ იგი ბატონი და ბძანებელია გულთა-თქმისა, თვალ-წინ გამორკვეული საგანი აქვს ცხოვრებისა. უნდა გავმდიდრდეო, იძახის და ამის მისაღწევად არაფერს ერიდება, ყოველს დაბრკოლებას ებრძვის, ყოველისფერს ითმენს, შიმშილს, წყურვილს, წვიმას, თოვლს, სიცხეს, სიცივეს, ყბად-აღებას, დაცინებას, ოღონდ ნათქვამი-კი შეისრულოს. რა-კი ერთხელ დასდო, დღეში ერთი გროში ხვალისათვის გადასდოს, დღეს მშიერი დარჩება, თუ გაუჭირდა, და მაინც გადასდებს. ესეთის მტკიცე და დადგრომილის ხასიათის კაცია და ვილაცამა სთქვა, ისტორიას მარტო ხასიათი ჰქმნისო. იგია ბატონი თავისის წადილებისა და სურვილებისა. განა იმან-კი არ იცის სიტკბოება ლხინისა, სიამოვნებისა, შექცევისა, მაგრამ მინამ ყოველს ამას მიეცემა, გაეტაცინება, ვალად ჰრაცხს ჯერ საჭირო იქონიოს, ჯერ მამასახლისობა გაუწიოს ოჯახს, ცოლ-შვილს, ჯერ სახლი, ოჯახი კარგად დააბინავოს, შვილებს გზა მისცეს და ლხინი და სიამოვნება არსად წაუვა.

ქართველი-კი ჯერ ყველაზე უწინარესს ბედოვლათობას ემსახურება. იგი ქეიფისათვის, შექცევისა და ლხინისათვის, ერთის მხოლოდ ბარაქალაობისათვის საჭიროსაც ანაცვალებს ხოლმე და ზედ წააკლავს. წადილი, სურვილი, გულთა თქმანი არიან მისი ბატონები და ბძანებელნი და თვითონ იმათი ყმაა ყურ-მოჭრილი. ქართველს იმოდენა ხასიათი არა აქვს, რომ ლხინისა და შექცევის მაცდურებას არ დაეძლევინოს. ვაჟკაცი თავისს გულთა თქმას ხელში მჭვრად უხდება და ეთელვინება. ტაბლა გარედ გააქვს მაშინ, როდესაც შინ ცოლ-შვილნი უტირიან. უკაცრაოდ, ცოლ-შვილნი-კი არა, მარტო შვილნი, იმიტომ-რომ ბედოვლათობაში ქართველის ცოლი, თუ არა სჭარბობს, არა ჰმეტობს, შეელით ხომ ჰშველის და ჰშველის. ჭირს დამალვა არ უნდა. ამ უწესრიგოდ ქცევამ ოჯახშივე, ამ ფანტვა-ფლანგვამ, ამ უხასიათობამ მოგვილო ბოლო და ამ ჭირს თვალში თვალის გაყრა უნდა და არა თვალთა ხუჭვა. მინამ დროა, გონს უნდა მოვიდეთ, ჩვენს ჭირს ჩვენვე უნდა ვუწამლოთ. ჩვენი ჭირი ჩვენს ოჯახშივეა და აქედამ უნდა დავიწყოთ ჩვენი წურთვნა, ჩვენი განკურნება იმ ბოროტისაგან, რომლის არა ერთი და ორი მაგალითი ჰშხამავს და სწამლავს ჩვენს შვილს, ჩვენს მთელს მოზარდს მოდგმას შინ, ოჯახშივე. დედ-მამის დაუდევნელობა, სახლ-კარის უპატრონობა, ოჯახისათვის უზრუნველობა, ბინის გაძლიერებისათვის გაურჯელობა და მარტო საბარაქალოდ ცხოვრება—რა კეთილს დააყრის ყოველ ამის ყოველ დღე მნახველს შვილსა.

დედ-მამისაგან ოჯახშივე უნდა ჩაენერგოს შვილს სიყვარული ბეჯითობისა, გარჯისა, შრომისა კაცად გახდომის გზაზე. გულთათქმის, სურვილების დამორჩილება, მათზე გაბატონება აქავ, ოჯახში, უნდა ისწავლოს შვილმა, აქავ უნდა ჰნახოს, რომ გულში ჩაინერგოს, ჩაითესლოს. შილლერმა სადღაცა სთქვა, რომ გენიოსობა ადამიანისა იქნება იმაზედაც იყოს დამოკიდებულიო, როგორ იმოქმედა ბავშვზე გარე-მოწყობილობამ, როცა პირველ თვალი აახილაო. რამოდენად უფრო ძლიერ უნდა მოქმედობდეს ბავშვზე, როცა მთელი შვიდი-რვა წელიწადი დედ-მამას შეჰყურებს და იმათს მაგალითს ჰხედავს. ჩვენი შვილი ოჯახიდამვე გატანებულ საუნჯით უნდა შევიდეს სასწავლებელში და იქ გაიფურჩქნოს, იქ გაიშალოს, იქ აყვავდეს კაცად, ჩვენდა საბედნიეროდ.

ვინ იტყვის, რომ ქართველ დედმამას სომეხსავით არა ჰსურდეს სწავლა-განათლება მისცეს შვილსა. გვსურს ყველას, ყველა მოწადინებულია, ყველას კარგად ესმის, რომ ეხლანდელ დროში უცოდინარი, უსწავლელი კაცი სხვის ლუკმაა, თუნდაც სპილოც იყოს, უხორთუმო სპილოა, თუნდ ლომიც იყოს, უბრჭყალო ლომია. თუ აქ განსხვავებაა რაშიმე ქართველთა და სომეხთა შორის, მარტო ის, რომ სომეხი დედ-მამა შვილის სწავლა-ცოდნისათვის თვითონ იღვწის, თვითონ იკლებს და შვილს-კი უგროვებს სწავლის სახსარს, სხვის იმედზე, სხვის ანაბარად შვილს არა სტოვებს. მუქთად გაზდას მისას არავისაგან არ მოელის და სულ იმის ცდაშია, რომ ერთი გროში აქვს თუ ორი გროში, აქედამ შვილის სწავლისათვის გადასდოს რამ, თუნდ ამით თვითონ ცარიელს პურზედ დარჩეს. ეს სიკეთე, მართალია, ზოგიერთს სომეხსაც გულიდამ ამოდებული აქვს, მაგრამ საერთოდ, უფრო დიდად მეტ ნაწილს კი თითქმის საოჯახო ანდერძად მიუჩნევია. ამის გამო შეიძლება ითქვას, რომ ეს საქებური სიკეთე, ეს დიდი მადლი ოჯახისა საერთო კუთვნილებაა სომხობისა მათდა სასახელოდ. დავცინით სომხებს ძუნწები არიანო. ძუნწები არიან ტყუილ-უბრალო ფანტვა-ფლანგვისათვის, ძუნწები არიან ბედოვლათობისათვის. რა არის აქ ცუდი? აბა ახლა ჰნახეთ, რა-კი სომეხი ქონს მოიცხობს, გამდიდრდება, რამოდენად გულ-უხვია თავისის ერისათვის, თავისის ერის სწავლა-განათლებისათვის. ისე არ მოკვდება, რომ კარგა ზორბად ფული ან ქონება რამე არ შესწიროს თავისის ერის საზოგადო საჭიროებისათვის, სომეხთა შვილთა სწავლა-ცოდნისათვის საერთოდ. აქ არამც თუ მზრუნველობა და ნაღველი სჩანს თავისის საკუთარის შვილისათვის, სჩანს, სხვათა შვილთათვისაც ფიქრი და ნაღველი გულიდამ, ცოცხალია, თუ მკვდარი, მოშორებული არა ჰქონია; სხვა სომხის შვილისათვისაც ის წყურვილი ჰქონია, რაც თავისის საკუთარისათვის და თავისის ნაჭირნახულევის ნამეტანობისაგან ხელს უმართავს. რას იტყვით? განა ცოდვაა, რომ კაცმა ამისთანა მადლისათვის იძუნწოს, თვითონ იკლოს და თავისის ერისათვის ასე სასახელოდ იმეტოს!

ქართველი და ქართვლის დედმამა სულ სხვაა. აქაც, რასაკვირველია, ყველაზე არ ვლაპარაკობთ. აქაც არიან შვილებისათვის ერთგულნი მომჭირნენი, ხოლო გაცილებით ბევრი-კი ისე თავ-დაუჭერელია, ისე უწეს-ურიგოა, რომ არც გარჯა და შრომა მიაჩნია ერთადერთ სათავედ ქონების შეძინებისა, არც ბედოვლათობისათვის გადურჩენია-რა, რომ საკუთარს შვილს მოახმაროს, თვითონ მოუმზადოს სახსარი სწავლა-განათლებისათვის და სხვას არ მიაყენოს კარზე, გამიზარდეო, ან უილაჯობით გაუზრდელი არ დაურჩეს.

---

შედეგია იმისა, ბევრს თუ ცოტას, როგორ და რა დროს მუშაობს ადამიანი. ყოველს უბედურებას მშრომელი კაცი თავისს თავს აბრალებს და შრომისაგან მიღებულ სიკეთის ღირსადაცა ჰრაცხს თავსის თავს. მაინც-და-მაინც უთუოდ თქვენი მარცხიც ბედს მიაწეროთ ანუ თქვენის ნაკლულოვანებისათვის სხვას დასდოთ ბრალი—ეს ამტკიცებს პირადის ღირსების გრძნობის განუვითარებლობას, დიდს უციცობას, დიდს სიზარმაცეს და სისუსტეს.

რომი ქვეყნის ძლიერი მფლობელი იყო, ბრძნები თავს ინუგეშებდნენ, რომ უმთავრესი ნაკლი ამისა იყო ციება, რომელმაც ალექსანდრე იმსხვერპლაო: ამ უდროო სიკვდილმა დიდად შესანიშნავკაცზ ჩაჩქათა ალსრულება ალარ დააცალაო.

ბევრი საჭირ-ბოროტო საგნებს სწორედ ამ ბრძნების მსგავსადა სჯის.

მაგრამ მშრომელი კარგად ჰგრძნობს მოვალეობას, რომელზედაც დამყარებული ადამიანის ღირსება და ხასიათის სიძლიერე. ვინც თავის თავს პატივს არა სცემს ის ვერ მოითხოვს სხვისგან პატივისცემას, და ვინც თავისის სიღატაკის დაცემის ბრალს სხვას ყველასა სდებს, თავის თავისს გარდა, ის სრულიად ვერ გააუმჯობესებს თავისს ბედს, ვერ მოიშორებს სამწუხარო გარემოებას რომელშიაც იგი იმყოფება. ყოველმა გონიერმა მუშამ იცის შრომას რა ნაყოფი მოაქვს, და თუ ნაპოლეონის სიტყვებს გადავასხვაფერებთ—ყოველ ჯარის კაცს ჩანთაში წინამძღოლის კვერთხი დააქვსო,—უფრო დიდის უფლებით ითქმევა, რომ ყოველი ადამიანის შრომა შეიცავს კალიფორნიას, მადანს, საიდგანაც სურვილისამებრ შეიძლება მოიხვეჭოს ადამიანმა გამამდიდრებელი ოქრო, დიდების ალმასები და ძლევა-მოსილობის რკინა.

შრომა ყოველ დავწლის სათავეა, რომელიც მიუძღვის ადამიანს როგორც კერძო კაცსა ანუ როგორც ეროვნების წარმომადგენელს. შრომა აძლიერებს ადამიანის მნიშვნელობას და უფართოვებს მას სამოქმედო ასპარეზს. მშრომელი კმაყოფილია, რადგანაც ბუნებისა და ზნეობის ერთს უმთავრესს კანონთაგანს ემორჩილება: თავისს თავს პატივსა სცემს, რაკი ჰგრძნობს თავისს სიპატიოსნეს, რაკი ჰხედავს, რომ სიღნიდისის ქენჯნას აშორებულია. მშრომელის სიამაყე სრულიად კანონიერია, რადგანაც თავისისავე ძალით მოიხვეჭა საზოგადოებაში ადგილი და საყოველთაო პატივისცემა. თავისის ქვეყნის განათლების წარმატებაში, სამრეწველო და საალებ-მიმცემო ასპარეზზედ მუშა კაცს დიდი სარბიელი აქვს მინიჭებული. ანკი, თუ სამართალია, თავი რად არ უნდა მოჰქონდეს მას?

მშრომელმა ადამიანმა შეუსწავლელადაც იცის საპოლიტიკო ეკონომია. ერთი სიტყვაც რომ არ წაეკითხოს სმიტის ანუ სეის, შევალიეს, როსსის ანუ მალტუსის, მილლის ანუ რიკარდოს, ლასსალის ანუ მარქსის თხზულებებიდგან, მალიან კარგად იცის, რომ არც ოქრო, არც ვერცხლი და არც ძვირფასი თვლები არ შეადგენს ქვეყნის სიმდიდრეს, არამედ მისის მცხოვრებლების შრომა.

ვინც ჰშრომობს, ის კმაყოფილიც არის. ამას ამბობდა ყოველთვის ყველა ხალხი; ამასვე ამბობენ ანდაზები, ყველა ქვეყნის ენაზედ დაწერილი. ვინც-კი კმაყოფილია, ის ეტანება სიყვარულს, რადგანაც სიყვარული, ყოველგვარ ცვლილებითურთ, უუმშვენიერესი და უხნიერესი გამომეტყველია კმაყოფილებისა.

რამდენჯერ შემხვედრია და მინახავს სახლში მთელი ოჯახი უსაქმურობით თავ-შეწუხებული. მაგრამ აი კარები იღება და ოჯახის უფროსი შემოდის, მთლად გაჭვარტლებული და გაოფლიანებული სახელოსნოში მუშაობისაგან; მაშინვე ჰგრძნობთ ახალ, გამაცოცხლებელ სიოს და ყველას სახეზედ სიხარული იხატება. ნამუშავარი ადამიანი თავ-მოწონებით იქცევა და ყველას თანაგრძნობასა და პატივისცემას იწვევს. შეასრულა თავისი მოვალეობა, რამდენიც-კი შეიძლო იმუშავა თავისის ცოლშვილისათვის.

როგორღაც ერთ ამხანაგთან მომივიდა ლაპარაკი ოჯახობის შესახებ, როგორც საზოგადოების ქვა-კუთხედისა, და იგი დამეკითხა—გრძნობათა რიგიანობა საოჯახო სიკეთის მომასწავებელი წარმატება უფრო რა გარემოებაში მოდისო? ვუპასუხე, რომ საუკეთესო დამხმარე ოჯახის წარმატებისა შრომაა მეთქი. ეხლაც ამ აზრს ვადგავარ.

ზარმაც ადამიანმა უარი უნდა სთქვას ბედნიერებისა, რომელსაც საოჯახო ცხოვრება გვანიჭებს, რადგანაც საოჯახო კერის აშენება უშრომელად შეუძლებელია. ოჯახი ფუფუნება-კი არ არის, არამედ ადამიანის გულის საჭიროებაა; უფრო მდიდრად, ძლიერად მიგვაჩნია ის ხალხი, რომელთა შორის ოჯახობა უცოლშვილო ადამიანზედ უფრო მეტი მოიპოვება. უცოლშვილო ადამიანი, რომელიც შრომას გაურბის და ამიტომაც ხელს იღებს ოჯახობაზედ, ზიზღის ღირსია. ეს მცირე მიზეზთაგანი როდია იმისა, რომ მრავალი ქვეყანაზედ ასე ცუდადა სცხოვრობს. რასაკვირველია, აქ ვგულისხმობ მხოლოდ უოჯახო და უსაქმო ეგოისტ ადამიანებს, რომელთაც სიცოცხლეში არავითარი საზოგადო საგანი და აზრი არა ჰქონიათ, და არა იმათ, ვინც თავისის ხასიათით ანუ თავისუფალ არჩევანით უარ-ჰყოფენ ოჯახის სიამოვნებას, რომ სხვა გზით უფრო უხვი მოღვაწეობა გამოიჩინონ.

რა მშვენიერი ელფერი ედება შრომას, როდესაც იმას ხელს უწყობს და ამხნევებს ოჯახის მიმართ სიყვარული! რანაირად ადვილია მუშაობა, როცა მოვიგონებთ, რომ ამ შრომით ვახერხებთ ჩვენის ცოლშვილის სიცოცხლის გამშვენებასა და გამხიარულებას! რამდენს სიამოვნებას გვაძლევს იგი, როდესაც მისის საშუალებით შევიძლიან ჩვენს ბავშვებს რიგიანი განათლება მივაღებინოთ და გავუღვიძოთ მათის გამაბედნიერებელის შრომის სიყვარული!

შრომა სამშობლოს სიყვარულსაც გვასწავლის, რადგანაც ქვეყნისთვის არც ერთს არ მოაქვს იმდენი სარგებლობა, რამდენიც მშრომელს ადამიანს. ვინც ჰმუშაობს, იგი სასარგებლო მუშაა უზარმაზარ საზოგადო სახელოსნოში, რადგანაც ხალხის მნიშვნელობა განიზომება ერთად აღებულ ყველა მის მომქმედ ძალითა და ამ ძალთაგან წარმომდგარ ზნეობრივ და ქონებრივ სიკეთით. როდესაც ჩვენი შრომა სისრულის ერთს ერთ წერტილამდე მიაღწევს და ასახელებს სამშობლო მხარეს, მაშინ ეროვნული სიამაყე უზენაეს და წმიდა აღტაცებისაგან გულის ძგერას გვაორკეცებს. როდესაც ჩვენი სოფლის მეურნეობა წარმატებაში მოგვყავს, ახალ სახელოსნოს ვაშენებთ, ახალ დარგს მრეწველობისას ფეხს ვადგმევინებთ, ვწერთ რაიმე გამოკვლევასა თუ ახალს წიგნს და ამით ცხოვრებას, მეცნიერებას ანუ მწერლობას ჩვენის ქვეყნისას ვამდიდრებთ, მაშინ შრომა მშვენიერ ჯილდოს იღებს: ყოველი ჩვენთაგანი სამშობლოს სიყვარულს უფრო ცხოვლადა ჰგრძნობს. ეროვნული თავმოწონება ხალხის უზენაესი სიკეთეა, თუ საფუძვლად ეროვნული შრომა უდევს. ვინც ბევრს ჰმუშაობს, იმას მით უფრო უყვარს თავისი ქვეყანა.

შრომა ჰბადავს ადამიანის მიმართს თანაგრძნობას, ჰნერგავს მაღალ-სულოვნობასა და თავ-განწირულების საჭიროებას. ცხადია, რომ ვინც ზარმაცზედ მეტსა ჰმუშაობს, ის თავისის ნაშრომის განაწილებასაც შეიძლებს. ადამიანს, მშრომელსა და უპირატესს, შეუძლიან თანამოძმის დახმარება და მას ქველმოქმედების სიამოვნება ეფინება.

ვინც არაფერს არ აკეთებს, ის სხვას სულ ვერ დაეხმარება; ვინც ოდნავ და ძლივს-ძლივობით იკვებება, მაღალ-სულოვნობას ვერ გამოიჩენს, დიდს ვერც არაფერს განიზრახავს. მშრომელი ადამიანი ყოველთვის მდიდარია, ერთი ამისთანა უდრის ორს, სამს, ათასს ადამიანს, ხელ-ფასის შემოსავალი და მოგება მას სიღატაკეს აშორებენ, კეთილი საქმე მის კეთილს მდგომარეობას ვერ ავნებს,—პირ-იქით მშრომელს ამდიდრებს, აღფრთოვანებასა და გამბედაობას უნერგავს, შრომას ყოველგვარ სიმშვენიერისა სარგებლობისა და სიდიადის წყაროდ უქმნის.

სან. ბრილელი

რა თქმა უნდა, ჩვენებურს სომეხს უადვილდება შვილის გაზრდა და კარგა ნაკლებადაც უნდა უჯდებოდეს, რადგანაც სომეხი უფრო ქალაქად სცხოვრებს, საცა სასწავლებელიც ბევრი იშოვება, მასწავლებელიც, და საცა სომხის შვილს ბინა თვისის დედ-მამის სახლშივე აქვს. ქართველი კი უფრო სოფლად არის, საცა არც სასწავლებელია, არც მასწავლებელია და იმისათვის ქალაქში გამოგზავნა შვილისა, აქ მიბარება და შენახვა დიდს ხარჯსა ჰთხოულობს. ეს ხომ ესეა, მაგრამ უფრო დიდი მიზეზი ჩვენი დაუდევრობაა, ჩვენი ბედოვლათობა, უხასიათობა. საერთოდ ისე გამოდის, თითქო სიყვარული ბედოვლათობისა ჩვენში სძლევს სიყვარულს შვილისას და დღევანდელი კვერცხი გვირჩევნია ხვალინდელ ქათამსა.

რა გამოდის ამ განსხვავებისაგან და ბოლოს ძირს რა ჰრჩება ან ქართველისათვის, ან სომხისათვის, ამაზე მერე მოვილაპარაკებთ.

## მთავრობის განკარგულებანი

ე ბ ო ძ ა თ: ბაქოს ოლქის სასამართლოში მყოფს სასამართლო უწყების თანამდებობათა უფროსს კანდიდატს, ტიტულიარნი სოვეტნიკს კ ა ხ ი ძ ე ს—კოლლეჟსკი ასესორობა.

გ ა დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის სახელმწიფოთა ქონებათა მართველობის საქმეთა მწარმოებლის თანაშემწე, გუბერნსკი სეკრეტარი არჩილ ბ ა ხ უ ტ ა შ ვ ი ლ ი—ამიერ-კავკასიის მხრისა და იმიერ-კასპიის ოლქის სააქციზო გარდასახადთა მართველობის უფროსს სასმელეულის კონტროლიორად.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ქ მ ნ ა ს ა მ ს ა ხ უ რ ს გ ა რ ე შ ე: ტფილისის სამოსამართლო პალატის სასამართლო თანამდებობათა უმცროსი კანდიდატი, გუბერნსკი სეკრეტარი თავადი როსტომ გრიგოლის ძე ბ ე გ თ ა ბ ე გ ო ვ ი, თავისისავე თხოვნის თანახმად.

# ახალი ამბავი

⁂ გალობის ახალგაზრდა მასწავლებელს ბ-ნ კავ—ძეს შეუდგენია ქართული ხორო. ხოროს აქვს შესწავლილი მხოლოდ ჩვენი საერო, ქართლ-კახური, იმერული, გურული და ფშავ-ხევსურული კილოები. ნაალდგომევს, პირველ ერთს კვირას, ხოროს განზრახვა აქვს იმოგზაუროს პროვინციებში: ქუთაისსა, გორსა, ზესტაფონში და სხვაგან. ამ ხოროს განაგებს და ჰმართავს ბ-ნი მჭედლიშვილი.

⁂ ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შერვაშიძე შეეკითხა ტფილისის ქალაქის გამგეობას, შემატყობინეთ რა ღონისძიებანია ხმარებული ქალაქის გამგეობის მიერ ქალაქის გასასუფთავებლად შავის-ჭირის წინაალმდეგ საბრძოლველადაო და საზოგადოდ-კი ყოველს ორს კვირაში ერთხელ მაცნობეთ ხოლმე ეს ცნობებიო.

⁂ ქალაქის გამგეობამ გუშინ პოლიცმეისტერს აცნობა, რომ აღდგომის დღესასწაულებისა გამო კვირას, 6 აპრილს, ყველა მაღაზიის და მედუქნის პატრონებს ნება დაერთოთ მთელის დღით ვაჭრობისაო.

⁂ 4 აპრილს სასახლეში დაიწყო ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოების სკოლების მოსწავლეთა ხელ საქმის გამოფენა. გამოფენას დაესწრო კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ. გამოფენა კვირამდე იქნება გამართული.

⁂ ორშაბათს, 7 აპრილს, ქალაქის საბჭოს კრება, სხვათა შორის, განიხილავს, ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებს მოხსენებას.

⁂ ქალაქის პოლიცია თვალყურს ადევნებს, რომ ჩარჩებმა არ შეისყიდონ სოფლელებისაგან სააღდგომოდ გასასყიდად ჩამოტანილი სანოვაგე. ამ წელს სააღდგომოდ ყველაფერი მცირე ფასად იყიდება. ასი კვერცხი იყიდება მანეთად და უზალთუნად და ექვს აბაზად, გოჭი სამ აბაზიდგან ორ მანათამდე, ბატკანი ორი მანეთიდგან.

⁂ ახალ-სენაკი (ქუთ. გუბერ.): ამ დღეებში აქ მოიწამლა თავი ერთმა გლეხ-კაცის ქვრივმა მ—ამ. თავის მოწამვლის მიზეზი ისა ყოფილა, რომ უკანონო შვილი მისცემია, როგორც თითონ აცხადებს დატოვებულს წერილში. უბედური დედა ორის კვირის განმავლობაში სახლში იჯდა თურმე და არავის სჩვენებია, ვიდრე დაწვებოდა, და შემდეგ თავი მოიწამლა კარბოლის სიმჟავითაო. ბავშვი ალსაზრდელად გაუბარებიათ. („ახ. მიმოხ.")

⁂ სიღნაღი: აქაური ქალები იმის მეტს არას აკეთებენ, რომ ლოტოსა თამაშობენ და ჭორიკანაობენ. დღეს ერთთან შეიყრებიან ხოლმე სალოტოდ და საჭორიკანოდ, ხვალ—მეორესთან და ასე მიდის იმათი სიცოცხლე. ნუ-თუ თვითვე არ ეთაკილებათ ასე ცხოვრება და დასასრული არა აქვს ასე უქმად ხარჯვას ღვთისგან მონიჭებულ სიცოცხლისას?!.

⁂ ხუთშაბათს, 4 აპრილს, ქალაქის საბჭოს გაუგზავნია გუბერნატორისათვის შესწორებული სია ქალაქის ამომრჩეველთა. სიაში, სხვათა-შორის, ნაჩვენებია, თუ რითი ვაჭრობს ყოველი ამომრჩეველი ვაჭარი, რომელსაც ეს საქმე აძლევს ამომრჩევლად ყოფნის უფლებას. ამ სიასთან გაგზავნილია აგრეთვე შესავსებელი სიაც და ქალაქის მოურავის დროებით აღმასრულებელს უთხოვნია, რაც შეიძლება მალე განიხილეთ და დაგვიბრუნეთ, რომ 18 აპრილისთვის მოვასწროთ ხელ-ახლად დაბეჭდაო, ე. ი. ერთის თვის წინად არჩევანის დანიშვნამდეო.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს, როგორც ვუწყით, დიდი ხანია განზრახვა აქვს დააარსოს პროვინციებში ამ სამინისტროს სხვა-და სხვა დაწესებულებანი და განყოფილებანი. რადგან საზღვარ-გარეთ ამისთანა დაწესებულებანი დიდი ხანია არსებობენ და დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხის ცხოვრებაში, ამიტომ მინისტრს გაუგზავნია საფრანგეთსა და ბელგიაში საბაჟო კომიტეტის წევრი თ. თ. ს. გოლიცინი ზემოხსენებულ დაწესებულებათა ადგილობრივ შესასწავლად. ამასთანავე თ. გოლიცინისთვის დაუვალებია მინისტრს გზა-გზა თვალ ყური ადევნოს, თუ როგორ გადააქვთ საჩქაროდ რკინის გზით ადვილად წახდენი სოფლის სამეურნეო სანოვაგეო.

⁂ მთავარ-მართებლის განკარგულებისამებრ პეტერბურგის უნივერსიტეტში ახლად განთავისუფლებულ კავკასიის სტიპენდიანტად ჩაურიცხავთ ამა უნივერსიტეტის საისტორიო-საფილოლოგიო ფაკულტეტის სტუდენტი ვიქტორ კანდელაკი.

⁂ 4 აპრილს ტფილისში ჩამოვიდა ახლად დანიშნული სპარსეთის კონსული მურტუზ-ხან-მულტაზულმიულკი.

⁂ ბათუმის სავაჟო გიმნაზია გაიმართება მომავალ 1897—98 სასწავლო წლის დამდეგს, ე. ი. ამ წლის სექტემბრის თვიდგან. ჯერ-ჯერობით გახსნიან მოსამზადებელს პირველს და მეორე კლასებს.

⁂ ქ. ბაქოში მცხოვრებს ე. ს. ლალაევისას შეუწირავს 2,000 მ. ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს სულით ავადმყოფთა განყოფილებისათვის, რომ ამ ფულით დაიდგას ერთის კაცის საწოლი მისის განსვენებულ ქმრის სახელობაზედ, რომელიც წელს, 23 მარტს, გარდაიცვალა ქ. ტფილისში.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს არ შეუწყნარებია შუამდგომლობა დუშეთის რწმუნებულთა, რომ ქალაქი განთავისუფლებულ იქმნას პოლიციის მოხელეთა სადგურის განათება-გათბობის ხარჯისაგან.

⁂ ტფილისის ებრაელთა მიუმართავთ ქალაქის გამგეობისათვის და უთხოვნიათ, რომ ნება მოგვეცით ღამით ვხოცოთ ხოლმე საკლავი 6 და 12 აპრილს, რადგან ამ დღეებში მარტო იმ საქონლის ხორცი გვეჭმევა, რომელიც ღამით არის დაკლულიო. ქალაქის გამგეობას ეს თხოვნა შეუწყნარებია.

⁂ ქ. სამტრედია: ეხლა ყველგან შავის-ჭირის მოლოდინის გამო ქალაქებსა და სოფლებს ასუფთავებენ, სწმენდენ, და ჩვენ დაბა სამტრედიაში-კი ჯერ-ჯერობით არაფერი კეთდება, თუმცა იგი მეტად ჩავარდნილს ადგილას არის გაშენებული და გარეშემო მრავალი ჭაობი ახვევია. იმას ვინა ჩივის, რომ ბაყაყების ჭყივილისაგან ზაფხულობით გული გვაქვს გაწვრილებული, ეს ჭაობებია მიზეზი, რომ აქ ზამთარ-ზაფხულ ციებ-ცხელება მძვინვარებს. ისედაც მოშხამულს ჰაერს კიდევ იმითი ჰშხამავენ, რომ დუქნებისა და რკინის გზის მოსამსახურეთა სახლების ყოველისავე სიბინძურეს და ფეხის ადგილის ნაწმედს იქვე დაბის ახლომახლო ჰყრიან. დროა ეხლა მაინც გამოფხიზლდნენ „სანიტარები" და ყოველსავე ამას თვალ-ყური მიაქციონ, თორემ თქვენი მტერი კაი დღე არ დაგვადგეს სამტრედელებს, თუ შავი-ჭირი შემოიპარა როგორმე ჩვენში.

⁂ ღარიბის აზნაურიშვილის ოჯახის სასარგებლოდ კიდევ მოგვივიდა ერთი ქართველი კნეინასაგან 5 მან. წინანდელი იყო სულ 77 მან. 60 კაპ., ამითი შესდგა 82 მან. 60 კაპ.

**შეცდომის გასწორება**

გუშინდელ უცხოეთის დასაწყისში შეცდომით არის ნათქვამი: „ლაშქრის ყველა ბანაკი ღ ა მ ი თ არის შეერთებულიო". უნდა იყოს „ტ ე ლ ე გ რ ა ფ ი თ არის შეერთებულიო".

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ქსნის ხეობა**, 28 მარტი. წარსულ კვირას ს. ჯ—ს ოსთა დეკანოზმა, ჩვეულებისამებრ, წლის თავზედ გარდაცვალებულის მეზობლის განკა ბ—ს მოკვლის მიზეზი გამოაშკარავა, რომელსაც თავი იჭვიანობის გამო მოეკლა. საქმე ასე მომხდარა. ბათ—ი ოჯახში ყოფილან ორნი ძმანი, უფროსი განკა და უმცროსი პავლე. ხატობის დროს „მარიამობას" ს. ა—ვს ერთად ყოფილან ორნივე ძმანი სალოცავად. იქ ორისავე ძმისათვის ნათესავებს უჩვენებიათ მილიკაანთ ქალი მაშო, რომლის შერთვაც ურჩევიათ უფროსის ძმისთვის, რადგან უმცროსს შერთვის უარი გამოუცხადებია. განკამ, რასაკვირველია, ბევრის რჩევის შემდეგ თანხმობა გამოაცხადა და ჯვარიც დაიწერა. უმცროსმა ძმამაც ხატობაშივე მოიწონა სხვა ოსის ქალი და ერთის თვის შემდეგ—ორმავე ძმამ ერთად შეიყვანეს ცოლები თავიანთ ოჯახში.

რამდენისამე ხნის შემდეგ უფროსის ძმის ცოლს, მაშოს, ოჯახში ჯერ ქმრისთვის და მერე რძალ-მაზლისათვის გამოუცხადებია, გავიყარნეთ, რადგან ჩვენ ჩვენი საკუთრება უნდა ვიცოდეთ; რადგან მე, ოსის ჩვეულების მაგიერ, „ურადი"-ც არ მოუცია ჩემს ქმარს, ქართულად მზითევი შემომიტანია და იმას ყველა ხმარობს ოჯახში ჩემს გარედ, მე არას მანებებენო. გაყრის წინადადება ძმებს ეუცხოვათ, რადგან ერთი-ერთმანერთის სამაგალითო ძმობა სიყვარული ჰქონდათ და უარი გამოაცხადეს. მაშინ მაშომ, რომელიც ისეც გულ-ამღვრეული იყო უმცროსს ძმაზედ, რად დამიწუნა და არ შემირთოვო,—მიჰმართა იმ ხერხს, რომ ქმრისთვის დაებადა ეჭვი ძმის წინააღმდეგ. ამ აზრის განსახორციელებლად მაშო მუდამ ჩასჩახოდა ქმარს: „შენი ძმა მინდოდა შემერთო, ის მომწონს, შენ მძულხარო." განკასაც ცოლის მიერ დროს ბევრჯელ გაუგონია ვითომდა მაშოს ბოდვა მაზლის სახელისა. როდესაც თურმე მაზლი ოჯახიდგან გავიდოდა, მაშო მაშინ მოწყენილი იყო, მდუმარებდა—არცა სჭამდა და არც სვამდა, ხოლო როდესაც მაზლი მოვიდოდა, რძალსაც, მაზლს და ქმარ-დედამთილსაც აშკარად აგონებდა ქმრის სიძულვილს და მაზლის გაგიჟებით სიყვარულს და ზედვე უმატებდა, თუ ერთ დარბაზში ვიქნებით მე და ჩემი მაზლი, ქმართან ვერ ვიცხოვრებ—ის მიყვარსო. ამგვარადვე იქცეოდა იგი ყველა თავისს ნათესავებთან—მომსვლელ სტუმრებთანაც და თავზედ ლაფს ასხამდა ქმარს, თავის თავს და ოჯახს. ბევრი სტუმართაგანი უარშიყდებოდა კიდეც, რადგან ესმოდათ—ქმარი სძულსო, და სცდილობდნენ მოსწონებოდნენ.

ქმარი წყნარი და ჭკვიანი კაცი იყო, ურჩევდა ცოლს ქცევა შეეცვალა და უბედურება არ დაეტრიალებინა ოჯახში, მაგრამ ქალი მაინც არ იშლიდა, ბევრჯელ ჩხუბიც მოსვლიად ცოლქმარს, ბევრჯელ დაუპირებია ქმარს გაგდებაც, მაგრამ ისევ ძმისა და სახლობის რჩევით დაუტოვებია,—რადგან დაჯერებული ყოფილა, რომ ძმა ჩემს ცოლს არ აჰყვებაო, და მეორეც, მაშო იმიტომ იქცევა ასე, რომ გავეყაროთ. ბოლოს მაშომ შეიტყო ქმრის გულგრილობა და იწყო სხვების არშიყიც. მიაღწია სასურველს და შეაჩვია ქმარი იჭვიანობას. ბოლო ხანებში მაშოს ქმარი იმ უკიდურესობამდე მივიდა, რომ ცოლს ფეხ-და-ფეხ სდევდა, არას აკეთებდა, სცდებოდა მუდამ დღე და სულ იმ ფიქრს-და უნდებოდა, რომ ცოლი კეთილს ზნეზედ დაეყენებინა. მაგრამ ცოლმა თავისის მოქმედებისაგან ხელი არ აიღო, ქმარი მოთმინებიდამ გამოვიდა, ვეღარა გამოიგონა-რა და მუდამ შფოთს თავის მოკვლა ირჩია.

ეს ამბავი დღემდე დაფარული იყო და რა-კი დეკანოზმა გამოაშკარავა სასოფლოდ, მაზლმა, წირვიდგან სამის დღის შემდეგ, დამბაჩით მოკლა რძალი, იმისდა მიუხედავად, რომ მაშო დიდად ჰკლოვობდა თავისს უბედურ ქმარს.

ა. ერისთავი.

**წერილი ფოთიდგან**

30 მარტს ქალაქის დარბაზში ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა წლიური კრება იყო. კრების თავმჯდომარედ ფოთის ქალაქის მოურავი ბ-ნი ნ. ი. ნიკოლაძე იქმნა ერთხმად არჩეული, რომელმაც, სანამ საქმეს შეუდგებოდა, მოკლე სიტყვით მიჰმართა საზოგადოებას. ამის შემდეგ კრება წარსულის წლის ანგარიშის განხილვას შეუდგა. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ საზოგადოებას რამდენიმე წევრი დაჰკლებია და ბანკის აპერაცია, წინანდელ წელთან შედარებით, შესამჩნევად შემცირებულა. ეს უკანასკნელი გარემოება ბანკის გამგეობამ სიმინდის ფასის დაცემით ახსნა, რამაც საზოგადოდ ფოთის აღებ-მიცემობა ძლიერ შეაფერხაო. მეორე მიზეზად შავის ქვით ვაჭრობის დაქვეითება დაასახელეს. აქვე საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ შარშანდელმა საზოგადო კრებამ ბანკის გამგეობას აუკრძალა, შავის-ქვის გირავნობით სესხი არვისათვის მიეცა, მაგრამ წლევანდელი კრება დარწმუნდა, რომ ასეთი დადგენილება საზარალოა ბანკისათვის და გარდაწვიტა,—შავი-ქვის გირავნობით წინანდებურად გაიცეს სესხიო.

რაოდენისამე სჯა-ბაასის შემდეგ კრებამ ანგარიში დაამტკიცა და ამის შემდეგ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგა. ეს ანგარიშიც დამტკიცებულ იქმნა. მომავალში ბანკს რაოდენადმე ხარჯი შეუმცირდება, რადგან ბანკის უფროსმა ბუჰგალტერმა ბ-ნ ჯალალოვმა განაცხადა, რომ 2,200 მან. მაგიერ წლიურად 1,500 მან. ვიკმარებო და იმის მაგალითს რამდენმამე სხვა მოსამსახურემაც მიჰბაძა.

ბ-ნმა თავმჯდომარემ კრებას წინადადება მისცა, რომ ბანკის მოგებიდგან 1,000 მან. ფოთის წმ. ოლგას სასწავლებელს შევეწიოთო, და ეს წინადადება კრებამ ერთხმად შეიწყნარა. ეს ფული ხსენებულ სასწავლებლისათვის სწორედ რომ სულზედ მისწრებაა, რადგან იმ სასწავლებელს შენობა შარშანდელმა წყალდიდობამ ძალზედ დააზიანა და განახლებას თხოულობს.

ბოლოს ბანკის მოსამსახურეთა არჩევანზედ მიდგა ჯერი. მაგრამ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამ ამ საქმეს დაიწყებდნენ, ბ-ნმა გაბუნიამ კრებას მიჰმართა და ურჩია, რომ ფოთელებს ისეთი კაცი ცოტა გვყავს, რომელიც ბანკის მართველად გამოდგეს, და ამიტომ ნუ დავიშურებთ მეტის ჯამაგირის მიცემას და რიგიანი კაცი მოვიწვიოთო. ამ სიტყვებმა დიდი ხმაურობა ასტეხა. ამდროს ზოგიერთებმა კანდიდატებიც დაასახელეს და თავმჯდომარემ ბ-ნ გაბუნიას უთხრა, რომ რაკი კანდიდატებია დასახელებული, არ შეგვიძლიან იმათ კენჭი არ ვუყუროთო; კენჭის ყრა აღმოაჩენს—კრება თანახმაა შენი თუ არაო.

ყუთები დაიდგეს: იმავე ბანკისავე დირექტორმა ბ-ნ ალანიამ, ბ-ნ მენდელმა და ბ-ნ თერქიანცმა. ალანიას ამოუვიდა 87 თეთრი და 60 შავი კენჭი, მენდელს 41 თეთრი და 106 შავი და თერქიანცს 24 თეთრი და 105 შავი. ამ რიგად ბანკის გამგედ ბ-ნი ალანია იქმნა არჩეული. ბ-ნ ალანიას ადგილას დირექტორად ბ-ნ ტატიშვილი აირჩიეს (ქალაქის საბჭოს მდივანი), და საბჭოს წევრებად—ბ-ნნი ნ. ი. ნიკოლაძე, კ. ი. მიქაბერიძე და ა. ავგორინო.

ამითი დააბოლოვა თავისი საქმე კრებამ. უნდა შევნიშნოთ, რომ წრევანდელმა კრებამ ერთობ მწყობრად და მშვიდობიანად ჩაიარა. ყველაზედ უფრო შესანიშნავი ის იყო, რომ ბ-ნი თავმჯდომარე თითოეულს მოხსენებას, თითოეულს სიტყვას როგორც რუსულად, ისე ქართულადაც ეუბნებოდა კრებას, რასაც კრების მრავალ წევრთათვის, რომლებმაც რუსული არ იციან, ერთობ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ჰაბუკი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჟურნალ „Рус. Архивъ“-ის აპრილის წიგნში სწერია:

1844 წელს სიღნაღსა და თელავს შუა ფოსტას ფული მიჰქონდა. ამ გზაზედ, სართიჭალასა და მუღანლოს სადგურებს შუა მდინარე ფშაზედ ხიდი იყო, რომელზედაც ყაზახებს ფული გადაჰქონდათ. ხიდი უეცრად ჩატყდა, ხალხი ჩაცვივდა. ორი კაცი დაირჩო, დანარჩენები გადაარჩინეს. ფულის აბგა-კი დაიკარგა. ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვნეს. აბგაში თურმე 40 ათასი მანათი იყო. ცოტა ხანს შემდეგ ხმა გავრცელდა, ეს აბგა მოიპარეს მაზრის უფროსმა ფოროსტოვსკიმ, დოდაშვილმა, იაკოვლევმა და სოფ. წიწმატიანის მემამულემ პოლკოვნიკმა იასე ანდრონიკაშვილმაო. ეს ამბავი მივიდა თავ. ვარანცოვამდე და მან ყველა ზემოხსენებულთა დაპატიმრება ბრძანა. დაიწყეს საქმის გამოძიება, რომელმაც ექვს წელიწადს გასტანა და დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს. თავადი იასე ანდრონიკაშვილი სამ წელიწადს იყო დაპატიმრებული. გავიდა 50 წელიწადი. 1884 წელს, 3 ივლისს ერთმა სოფლის მიხეილ გზარიანცმა იმ ადგილას, სადაც აბგა ჩავარდა, მდინარემ იპოვნა ოქროს ფული და ბოქაულს წარუდგინა. დაიწყეს მიწის თხრა (მდინარემ ეხლა კალაპოტი იცვალა) და კიდევ ბევრი ფული იპოვნეს.

ამ ამბავს ზემოხსენებული ჟურნალი დასძენს:

მეტად სამართლიანი იქნება, რომ კავკასიის მთავრობამ იშუამდგომლოს უმაღლესს მთავრობასთან და სთხოვოს, რომ ხსენებულ ანდრონიკაშვილის მემკვიდრეებს უზღონ ის ზარალი, რომელიც მოუვიდა ამ ოჯახს უდანაშაულო კაცის დაპატიმრებისა გამო.

ეს მით უფრო სასურველია, რომ კავკასიის მცხოვრებნი დარწმუნდებიან, რუსეთის მთავრობა მეტად სამართლიანია, არ ერიდება თავისი შეცდომა აღიაროს და უბრალოდ დასჯილის მესამე თაობას ზარალი აუნაზღაუროსო.

## უცხოეთი

—

**საბერძნეთი.** როგორც ვუწყით, 25 მარტი ბერძენთა საერო სადღესასწაულო დღედ ითვლება, რადგან ბერძნებმა 1821 წ. ამ დღეს მოიპოვეს პოლიტიკური თავისუფლება. ბევრი ჰშიშობდა, რომ შეიძლება წელს 25 მარტს ბერძნებმა თავი ველარ შეიმაგრონ და ოსმალეთს ომი უნდა გამოუცხადონო. თუმც ეს იჭვი და შიში არ გამართლდა, მაგრამ მაინც მნიშვნელობას მოკლებული არ არის ვიცოდეთ, როგორ გაატარეს საბერძნეთში 25 მარტის დღესასწაული.

გაზეთების სიტყვით, 25 მარტს, დილით ისეთი არა მომხდარა-რა, რომელსაც ასე თუ ისე მყუდროება დაერღვიოს და რაიმე საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონოდეს; ხალხს ერთობ მშვიდად ეჭირა თურმე თავი და ყველგან მყუდროება ჰსუფევდა. ასეთმა მდგომარეობამ შუადღემდის გასტანა, ე. ი. სანამ წირვა-ლოცვას მორჩებოდნენ ეკკლესიებში, მაგრამ შემდეგ-კი ე. ი. ნაშუადღევს, ხალხს თან-და-თან მღელვარება დაეტყო. საკრებულო ტაძრიდგან (ათინაში) მლოცავნი რომ წავიდ-წამოვიდნენ, დიდ-ძალმა ხალხმა მოედანზედ მოიყარა თავი და, ბევრის ლაპარაკის შემდეგ, განაჩენი დაადგინა, რომელშიაც დიდ-სახელმწიფოთა მოქმედება სასტიკად იყო გაკიცხული და საბერძნეთის მთავრობისაგან ომის დაწყებასა თხოულობდა. კრებამ ასზედ მეტი კაცი აირჩია და მეფესთან წარგზავნა, რომლისთვისაც კრების გარდაწყვეტილება უნდა ეცნობებინათ. გენერალმა კორონოიოსმა მეფეს მოახსენა, რომ ხალხმა დაადგინა—დაუყოვნებლივ ომი გამოვაცხადოთო; ეს დადგენილება ამ სიტყვებით თავდებოდა: „წინ წავიდეთ, სულ ერთია, დავიხოცებით თუ ცოცხალნი დავრჩებით!“ როცა მეფესთან წარგზავნილი კაცები მივიდნენ, იმის შემდეგ დაუყოვნებლივ სასახლის წინ მოედანზედ რამდენიმე ათასი კაცი მოგროვდა, რომელიც მოითხოვდა—მეფე თითონ გამოვიდეს და გამოგვიცხადოს, იქნება ომი, თუ არა. მაგრამ რადგან მეფემ იმათი სურვილი არ დააკმაყოფილა, ე. ი. არ გამოვიდა, ხალხმა ერთი ხმაურობა ასტეხა, ყვირილი დაიწყო და იქა-აქ დამბაჩის ხმაც მოისმა. ხალხი ხმა-მაღლა გაიძახოდა: „გაუმარჯოს ომსაო!“ შეგროვილს ხალხში მრავალ ქალსა და ბავშვს ჰნახავდით, რომელნიც ჰყვიროდნენ: „ომი! ომიო!“.

მთავრობა იძულებულ შეიქმნა, მოედნიდგან ხალხის ბრბო ჯარის კაცთა საშუალებით გაეფანტა. საღამოზედ ხალხში ხმა გაისმა, რომ ინგლისსა და იტალიიდგან საბერძნეთისათვის თავისის ნებით რამდენიმე მებრძოლი მოვიდაო, ამ ძვირფას სტუმართა პატივ-საცემად ხალხი კონსტიტუციის მოედანზედ შეიკრიბა და იმათს აღტაცებას საზღვარი აღარა ჰქონდა. ამის შემდეგ ხალხი ისევ მეფის სასახლის წინ მოგროვდა და ხმაურობა დაიწყო, რომ მეფე გამოვიდეს და გამოგვიცხადოს, საბერძნეთი დაიწყებს ომს, თუ არა კრიტელების გულისათვისო.

ლარისშიდაც შეიკრიბა ხალხი ბატონიშვილის კონსტანტინეს სადგურის წინ და ხმაურობა ასტეხა: „გაუმარჯოს ომსაო!“ ხალხმა ამასთანავე სურვილი გამოაცხადა, რომ ბატონიშვილი გამოვიდეს სახლის ბალკონზეო, მაგრამ ბატონიშვილის ნაცვლად მისი ადიუტანტი გამოვიდა და ხალხს უთხრა, რომ მეფე და მთავრობა ყველაფერს იქმონენ, რაც-კი ჩვენი ერის პატივისა და ღირსებისათვის არის საჭიროო. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ხალხი დაიშალა, მაგრამ მაინც „გაუმარჯოს ომსაო!“ სხვა და-სხვა ადგილას დიდხანს გაისმოდა.

## დამაკვირდი

(შტეტენჰეიმი)

ღმერთო, მოსავალი მომეციო,—ამას გლეხ-კი ემუდარება.

* * *

დღე ისე არ გავა, რომ სასწაული რამ არ იყოს. მე ვიცი ერთი სულელი კაცი, რომელსაც ქალებში გასავალი არა აქვს. სასწაული არ არის, მაშ რა არის?

* * *

ფული მბრძანებელია კაცისა, თუმცა კაცი ჯიბეში-კი ამწყვდევს ხოლმე.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ბევრს მკითხველს არ ეცოდინება, რომ საშუალო საუკუნოებში ევროპაში პირუტყვებს ასამართლებდნენ სხვა-და-სხვა დანაშაულისთვის. გამომძიებელი საქმეს იძიებდა, დამნაშავე პირუტყვს უწყებას უგზავნიდნენ, მოჰყავდათ სასამართლოში, უკითხავდნენ საბრალმდებლო ოქმს, ბრალმდებელი ამტყუნებდა. ვექილი იცავდა. ყველა ეს სისხლის სასამართლოს შეეხება. ასე იყო სხვა საქმეებშიაც. პირუტყვს უჩივოდნენ ზარალს, უგზავნიდნენ სასამართლოდგან უწყებას. მომჩივანს ურჩევდნენ მოურიგდიო; ერთის სიტყვით ისე ექცეოდნენ პირუტყვს, როგორც ადამიანსა. მაშინდელ კანონ-მდებლობაში სწერია: „პირუტყვსაც, როგორც ადამიანს უფლება აქვს იცხოვროს დედა-მიწაზედ, მაგრამ ამასთანავე კანონს უნდა ემორჩილებოდეს და [illegible] დაისაჯოს. სასულიერო მთავრობას შეუძლიან დამნაშავე პირუტყვი „ეკკლესიიდგან განაყენოს შეჩვენებით.“ ბრალდებულ პირუტყვს უფრო ხშირად სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტამდნენ ხოლმე, თუმცა ისეც მოხდებოდა, რომ დაკვლის მაგიერად პირუტყვს გაჰყიდნენ ხოლმე და ფულს ქალაქის ხაზინას გადასცემდნენ. აი ერთი მაგალითი ძველად პირუტყვის განსამართლებისა. „10 იანვარს 1457 წელს სავინიის სასამართლომ გაარჩია საქმე ერთის ღორისა და ექვსის გოჭისა, რომელთაც ბრალდებოდათ 5 წლის ყმაწვილის ივან ბასტენის მოკვლა. სასამართლომ ღორი დამნაშავედ იცნო და ჩამორჩობა მიუსაჯა. რაც შეეხება გოჭებს, სასამართლოში მათი დანაშაული არ დამტკიცდა და ამიტომ გამართლებულ იქმნენ.

**

უფრო ახირებულია მეორე მაგალითი. 1750 წელს საფრანგეთში ასამართლებდნენ ერთს ვირს, რომელსაც ბრალად ედებოდა უზნეობა და რომელიც მხოლოდ იმიტომ გაამართლეს, რომ ერთი მღვდელი წაესარჩლა და სთქვა, ბრალდებულ ვირისთვის უზნეობა არაოდეს არ შემიმჩნევიაო.

საყურადღებოა, რომ პირუტყვთა განსამართლება უწინდელ დროში დიდხანს გასტანდა ხოლმე, რადგანაც ვექილები მაშინაც სცდილობდნენ, რაც შეიძლება დიდხანს გაეჭიანურებინათ საქმე. ვექილი ამასთანავე მჭერ-მეტყველობას მიჰყოფდა ხელს, რომ როგორმე გაემართლებინა ბრალდებული.

ერთხელ თაგვებს ასამართლებდნენ. ბრალადა სდებდნენ, რომ მინდვრები აიკლესო. ვექილი ასე სცდილობდა თაგვების დაცვას: „იმაზედ დიდი უსამართლობა არაფერია, როდესაც ვისმეს იმისთვის სჯიან, შენს მამა-პაპას დანაშაული მიუძღვისო. ბრალდებულ თაგვებს შორის სულ ახალგაზდანიც არიან, რომლებიც ჯერ არც-კი იყვნენ დაბადებულნი, როდესაც მათმა წინაპრებმა მინდორი აიკლეს“.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 აპრილი

**კონსტანტინეპოლი.** მე-34 რაზმის პირველ ბატალიონის უფროსი მაიორი იუზუფი დანიშნულ იქმნა კრიტის ჟანდარმერიის უფროსად.

საბერძნეთის საზღვარზედ არავითარიმე შეტაკება არ მომხდარა.

**დურბანი** (სამხრეთ აფრიკა). მოულოდნელად მოვიდა აქ ინგლისის ესკადრა შვიდის გემისაგან შემდგარი. საღამოსათვის კიდევ ორს გემს მოელიან. მიზეზი ამ გემების მოსვლისა არავინ უწყის.

პეტერბურგის ბირჟა, 4 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | —,, | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 210³/₄ |
| 4¹/₂% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 101³/₈ | — „ | „ — |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | — |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | 99³/₈ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 101 | — „ | — |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | 99³/₄ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 276 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 244 |



## განცხადებანი

ახლად გამოვიდა და ისყიდება

**ფაბიოლა**

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყაღწმიდის მმობისა,

თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.

**„კელისციხე“**

მომავალ დღესასწაულებისთვის **საუკეთესო კახური** ღვინოები მიეიღე. ვედრო 2 მან. 40 კაპ. ვიდრე 12 მან., თუნგი 80 კაპ. ვიდრე 4 მან. და ბოთლი 16 კაპ. ვიდრე 1 მან.

სარდაფი იმყოფება პუშკინის ქუჩაზედ, ტერ-ასატუროვის შენობაში.

მიხეილ გიორგის ძე ტარასოვი

(5—93—2)

**პატენტ-ბოძებული თვით მომქმედი მანქანა „სიფონია“ ვენახებისა, ბოსტნებისა და ხეხილების სამკურნალოდ** უფრო **კარგად ასხურებს** წამალს, ვიდრე სხვა რომელისამე სისტემის მანქანა. ხმარების დროს შეკეთება სულ არა სჭირდება. ამითი დიდად იზოგება **დრო და მასალა**



ისყიდება: **ივანე კულიჯანოვის** მაღაზიაში ქ. **თელავს.**

**ე. ფ. აუფერმანის საწყობის განყოფილებაში, ქალაქ სიღნაღს, შავერდოვების ქარვასლაში.**

ე. ფ. აუფერმანის საწყობში, **ტფილისს, მიხეილის ქუჩაზედ № 117.**

20—6.—12)



Дозволено цензурою, Тифлисъ 5-го Апрѣля 1897 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.